საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№01-04/120 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 16-11 2022 წ.

MES 0 22 0001463016

16/11/2022

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის ბრძანება
16 ნოემბერი 2022წ.
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 132/ნ ბრძანებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 თებერვლის N61 დადგენილებით დამტკიცებული ეთიკის კოდექსის 21–ე მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გია ხოფერია – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

ბ) გია გაბუნია – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; მედიცინის ფაკულტეტი;

გ) გოდერძი შანიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

ე) ნათია კამკამიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტი;

ვ) მარიამ გაბისონია – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ორი დღის ვადაში შეკრება და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით სხდომის ჩატარება.

3. ეთიკის კომისიამ უზრუნველყოს საქმიანობის წარმართვა მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

4. ეთიკის კომისიის შეკრებასთან და სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს ბ–ნ შალვა კირთაძეს.

5. ბრძანება შესასრულებად გადაეცეს ეთიკის კომისიის წევრებს და უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს ბ–ნ შალვა კირთაძეს.

6. ბრძანება გაცნობის მიზნით გამოიკრას უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე. საინფორმაციო დაფაზე გამოკვრა და ამ ბრძანების მე–5 პუნქტის შესრულება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ხოლო ბრძანების ვებ –გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი